ევროპის ახალგაზრდული ფონდი

მხარს უჭერს ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს

EYF ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ევროპული სულისკვეთებით, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვით განხორციელებულ ახალგაზრდულ აქტივობებს, რომლებიც ემსახურება ევროპისა და მსოფლიოს ახალგაზრდებს შორის მშვიდობის ხელშეწყობას, მათ ურთიერთდაახლოებასა და თანამშრომლობას.

Youth – Jeunesse

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭო და ახალგაზრდული სექტორი

ევროპის საბჭოს მიზანია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა ევროპის კონტინენტზე. ევროპის საბჭო 1949 წელს, მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიქმნა და ის ევროპის უძველესი პოლიტიკური ორგანიზაციაა. დღეს მის შემადგენლობაში 46 სახელმწიფო შედის.

ახალგაზრდული სექტორის მისია

ახალგაზრდული სექტორის მისიაა, "მისცეს საშუალება ახალგაზრდებს მთელს ევროპაში, აქტიურად შეასრულონ, დაიცვან, განავითარონ და გამოიყენონ ევროპის საბჭოს ძირითადი ღირებულებები.''

ეს ხორციელდება ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებზე მთავრობათაშორისი თანამშრომლობით, ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიასთან დაკავშირებული ტრენინგებითა და საგანმანათლებლო პროგრამებით, კამპანიებითა და თანამშრომლობის პროექტებით, კვლევითი საქმიანობის განვითარებითა და ახალგაზრდული ორგანიზაციების პროექტების მხარდაჭერით.

ახალგაზრდული სექტორის პრიორიტეტები

- **პლურალისტური დემოკრატიის აღდგენა,** დემოკრატიული მოქალაქეობის ხელშეწყობა, მონაწილეობრივი პოლიტიკის მხარდაჭერა და მონაწილეობასთან დაკავშირებული ბარიერების აღმოფხვრა;
- **ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობა,** ამ სფეროში ევროპის საბჭოს სტანდარტების დანერგვისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მხარდაჭერა;
- **მშვიდობიან და ინკლუზიურ საზოგადოებაში თანაცხოვრება,** დისკრიმინაციის, ძალადობისა და გარიყულობის აღმოფხვრა და ევროპული ერთიანობის, გლობალური სოლიდარობის, მშვიდობის, მრავალფეროვნების, კულტურათაშორისი და თაობათაშორისი დიალოგისა და გარემოსდაცვითი მდგრადობის ხელშეწყობა;
- **ახალგაზრდული საქმიანობა,** ახალგაზრდული საქმიანობის აღიარება, მხარდაჭერა, გავრცელება და მისი ხარისხის გაუმჯობესება. ასევე, მისი ხელმისაწვდომობისა და მიმზიდველობის ხელშეწყობა.

(ახალგაზრდული სექტორის სტრატეგია 2030)

ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ სექტორში ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები ახალგაზრდულ პრიორიტეტებზე, პროგრამებსა და პოლიტიკაზე გადაწყვეტილებებს იღებენ მთავრობების წარმომადგენლებთან ერთად, როგორც მათი თანაბარი პარტნიორები.

ევროპის ახალგაზრდული ფონდი

ევროპის ახალგაზრდული ფონდი ფინანსურ და საგანმანათლებლო მხარდაჭერას უწევს ახალგაზრდული ორგანიზაციების ახალგაზრდულ პროექტებს, რომლებიც შემუშავებულია ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისა და ევროპული კულტურული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების ახალგაზრდებისთვის, მათ მიერ და მათთან ერთად.

ევროპის ახალგაზრდული ფონდი (EYF) ევროპის საბჭომ 1972 წელს დააფუძნა.

ევროპის ახალგაზრდული ფონდის სახელმძღვანელო პრინციპია:
ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდების მიერ და ახალგაზრდებთან ერთად

მოკლედ EYF -ის შესახებ

- ევროპის მასშტაბით ახალგაზრდული აქტივობების, ახალგაზრდული საქმიანობისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების მხარდამჭერი ფონდი.
- ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის ინსტრუმენტი ორგანიზაციის ღირებულებებისა და პრიორიტეტების პოპულარიზაციისთვის.
- ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და ქსელების პარტნიორი სამოქალაქო საზოგადოების გასაძლიერებლად.

ყოველწლიურად:

- ფონდი მხარს უჭერს დაახლოებით 200 ახალგაზრდულ პროექტს;
- ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები დაახლოებით 15 000 ახალგაზრდას ფარავს;
- ფონდი ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის დაახლოებით 3,5 მილიონი ევროს მოცულობის გრანტებს გასცემს.

EYF-ს ოფისი განთავსებულია სტრასბურგში, საფრანგეთში, ევროპის ახალგაზრდულ ცენტრში. ფონდი დემოკრატიის დირექტორატის ახალგაზრდული დეპარტამენტის ნაწილია. ფონდის სამუშაო ენებია ინგლისური და ფრანგული.

რას აფინანსებს EYF?

- აქტივობებს, რომელთა მიზანია ახალგაზრდებს შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა, კავშირების, გაცვლებისა და ურთიერთმხარდაჭერის წახალისება;
- ახალგაზრდულ პროექტებს, რომლებიც თანხვედრაშია ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის ღირებულებებთან, პრინციპებთან და პრიორიტეტებთან;
- აქტივობების ფართო სპექტრს, მათ შორის ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, ინსტიტუციური განვითარების აქტივობებს, კვლევებს, ონლაინ ინსტრუმენტების, საგანმანათლებლო თუ საინფორმაციო მასალების შექმნასა და განვითარებას.

EYF მხარს უჭერს პროექტებს, რომლებიც:

- ეხება ძირითადად 15-დან 30 წლამდე ახალგაზრდებს;
- ეფუძნება ახალგაზრდების საჭიროებებსა და მისწრაფებებს;
- ეფუძნება ევროპულ განზომილებას;
- ეფუძნება არაფორმალურ საგანმანათლებლო მეთოდოლოგიას;
- ითვალისწინებს გენდერულ თანასწორობასა და მარგინალიზებული ჯგუფების ჩართულობას.

EYF არ აფინანსებს:

კომერციულ პროექტებს, დამფუძნებლების საერთო შეკრებებს, ჰუმანიტარულ აქტივობებს, სპორტულ ღონისძიებებს, სამშენებლო სამუშაოებს, ტურისტულ აქტივობებს ან სტიპენდიებს.

ვის შეუძლია გრანტის მოთხოვნა?

ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებიდან და ევროპული კულტურული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებიდან:

- ეროვნულ ან ადგილობრივ ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებს;
- საერთაშორისო ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებსაც წარმომადგენლობა ჰყავთ სულ მცირე შვიდ ქვეყანაში;
- საერთაშორისო ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელებს, რომლებსაც ასევე ევროპის საბჭოს მინიმუმ შვიდ წევრ სახელმწიფოში ჰყავთ წევრი ორგანიზაციები;
- ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების რეგიონულ ქსელებს, რომლებიც წარმოდგენილნი არიან 4-დან 6-მდე ქვეყანაში.

აპლიკანტ ორგანიზაციას უნდა:

- ჰქონდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) და არასამთავრობო იურიდიული პირის სტატუსი;
- ჰქონდეს საკუთარი წესდება;
- იყოს ახალგაზრდული ორგანიზაცია: ახალგაზრდების მიერ მართული და ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე (ახალგაზრდების ასაკი 15-30 წელი);
- მუშაობდეს ევროპის საბჭოს ღირებულებებისა და პრინციპების შესაბამისად.

ევროპის ახალგაზრდული ფონდის გრანტები

EYF გასცემს ოთხი ტიპის გრანტს:

- გრანტები ადგილობრივი ან ეროვნული პროექტებისთვის (საპილოტე აქტივობები), რომელთა მიზანია ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევების აღმოფხვრა და მათ საჭიროებებზე შესაბამისი რეაგირება;
- გრანტები საერთაშორისო აქტივობებისთვის. აქ იგულისხმება ახალგაზრდების ან ახალგაზრდული ორგანიზაციების ლიდერების შეხვედრები, მკაფიო ევროპული განზომილებით;
- გრანტები საერთაშორისო ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ქსელებისათვის მათი ყოველწლიური სამუშაო გეგმების მხარდასაჭერად (თანმიმდევრული და ურთიერთდაკავშირებული აქტივობები) ერთი წლის განმავლობაში;
- სტრუქტურული გრანტები საერთაშორისო ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ქსელებისთვის მათი ძირითადი ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარად.

ევროპის ახალგაზრდული ფონდის საგანმანათლებლო მხარდაჭერა

EYF უზრუნველყოფს:

- კონსულტაციებს ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის EYF-ში წარსადგენი საპროექტო განაცხადების დაზუსტებისა და გაუმჯობესების მიზნით;
- ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარებასა და ინსტიტუციურ გაძლიერებას, მათი პროექტების ხარისხის გასაუმჯობესებლად;
- საინფორმაციო სესიებს ბენეფიციართა და პარტნიორების ინფორმირებისთვის მიმდინარე პროგრესთან დაკავშირებით;
- ინსტრუმენტებს ახალგაზრდული პროექტების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ევროპის ახალგაზრდული ფონდის გრანტის მისაღებად განაცხადის გაკეთებისთვის გასავლელი ეტაპები:

1.რეგისტაცია: ონლაინ სისტემაში (fej.coe.int) სარეგისტრაციო მოთხოვნის გაგზავნა;
2.საგრანტო განაცხადის ონლაინ წარდგენა კონკრეტულ ვადებში;
3.წარდგენილი განცხადების შეფასება: ეს პროცესი შეიძლება მოიცავდეს კომუნიკაციას განმცხადებელ ორგანიზაციასთან მათ საგრანტო განცხადებასთან დაკავშირებული დეტალების დასაზუსტებლად;
4.აპლიკაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ახალგაზრდული პროგრამული კომიტეტი - ახალგაზრდული სექტორის თანამმართველობის ორგანო, რომელიც შედგება რვა ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციისა და რვა სამთავრობო წარმომადგენლისაგან.

ევროპის ახალგაზრდული ფონდი

Council of Europe
30, rue Pierre de Coubertin
F-67000 Strasbourg, France
+33 3 88 41 20 19
eyf@coe.int
http://eyf.coe.int
www.coe.int/en/web/youth/youth-strategy-2030

გამოგვყევით

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო წარმოადგენს ადამიანის უფლებათა წამყვან ორგანიზაციას ევროპის კონტინენტზე. ის აერთიანებს 46 წევრ სახელმწიფოს, რომელთა შორის 27 ევროკავშირის წევრია. ევროპის საბჭოს ყველა წევრ ქვეყანას ხელმოწერილი აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობას უწევს აღნიშნული კონვენციის შესრულებას წევრ ქვეყნებში

EYF european youth foundation fonds européen pour la jeunesse

Youth – Jeunesse

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE